

კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს ძირითადი აგროლანდშაფტური  
ზონის კვლევის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი

*რობერტ მაღლაკელიძე, დალი ნიკოლაიშვილი, ნელი ჯამასპაშვილი, მაია ცხვარაძე,  
ნინო პაიჭაძე, თენგიზ დეკანოიძე, მანანა შარაშენიძე*

ელ.ფოსტა: [robert.maghlakelidze@tsu.ge](mailto:robert.maghlakelidze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

კაცობრიობის წინაშე მდგარ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უმწვავესია კლიმატის ცვლილება. მრავალი მეცნიერის, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის ძალისხმევა მიმართულია იმ გზების ძიებისაკენ, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეასუსტებდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ საფრთხეებს და თავიდან აგვაცილებდა გარემოს დეგრადაციის შედეგად მოსალოდნელ სოციალურ-ეკონომიკურ დესტაბილიზაციას.

ლანდშაფტური მიდგომა კლიმატური პირობების ცვლის მოზაიკური ხასიათის დადგენისა და მიზეზების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლანდშაფტური მიდგომის გამოყენება ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, ვინაიდან იგი ძლიერ მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება.

უკანაკნელ წლებში საქართველოში ძლიერ შემცირდა მეტეოსადგურების და საგუშაგოების რაოდენობა, რამაც ძლიერ გაართულა კლიმატის ცვლილების შესწავლა. ბტკ-ების სივრცე-დროითი ანალიზისა და სინთეზი კონცეფცია, საქართველოში დაგროვილი გამოცდილება ლანდშაფტურ კვლევებში და კვლევის ის კონკრეტული გზა, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ, შესაძლებლობას იძლევა მონაცემთა დეფიციტის პირობებშიც კი საკმაოდ დიდი სიზუსტით განვსაზღვროთ ლანდშაფტში მოსალოდნელი ცვლილებები და დავადგინოთ ტენდენციები.

კვლევის მთავარი მოსალოდნელი შედეგებია:

ლანდშაფტებზე კლიმატის ცვლილების გავლენის მეთოდოლოგიური საფუძვლის შემუშავება, რომელიც სამოდელოდ შეიძლება იქცეს საქართველოს, კავკასიის და სხვა ტერიტორიისათვის;

საქართველოს ძირითადი აგროლანდშაფტური ზონის ერთიანი მონაცემთა ბაზა და განახლებადი სივრცე-დროითი მოდელი;

კლიმატის ცვლილების მასშტაბების და ინტენსივობის ტერიტორიული განაწილების გა მოვლენილი თავისებურებანი საქართველოს ლანდშაფტთა სხვადასხვა საკლასიფიკაციო დონეზე (ლანდშაფტის ტიპი, ქვეტიპი, გვარი, ბტკ);

ლანდშაფტის სხვადასხვა პარამეტრის (ფიტომასების, ჰუმუსის და ა.შ.) მოსალოდნელი ცვლილების პროგნოზი;

კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს ძირითადი აგროლანდშაფტური ზონის შეფასებითი რუკა;

რეკომენდაციები კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და ლანდშაფტური დაგეგმარებისათვის